საკონსულტაციო მომსახურების

ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე (შემდგომში ,,ხელშეკრულება“) დადებულია 2015 წლის -- ------- საქართველოში, ქ. თბილისში:

ერთის მხრივ, საერთაშორისო ფონდ ,,კურაციო“-ს (შემდგომში “ფონდი”), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ქეთევან ჩხატარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, -------- ---------- (შემდგომში “შემსრულებელი“) შორის.

წინამდებარე ,,ხელშეკრულებაში“ მოცემული ორმხრივი შეთანხმებებისა და დათქმების გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ საფუძველზე ,,ფონდი“ ავალებს, ხოლო ,,შემსრულებელი“ თანახმაა ,,ფონდისათვის“ მომსახურების გაწევის მიზნით “.....“ ფარგლებში ურთიერთშეთანხმებულ ვადაში უზრუნველყოს „.....“ (შემდგომში ,,მომსახურება“) .

1.2. ,,ფონდი“ აუნაზღაურებს ,,შემსრულებელს“ გაწეული ,,მომსახურების“ ღირებულებას ამ ,,ხელშეკრულების“ 2.1. და 2.2. მუხლებით შეთანხმებული ფასების მიხედვით.

2. ანაზღაურების პირობები

2.1. ,,ფონდი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ,,შემსრულებელს“ ,,მომსახურების“ ღირებულება არაუმეტეს „...“ აშშ დოლარისა „...“.

2.2. ,,შემსრულებლის“ მიერ განხორციელებული ,,მომსახურების“ მოცულობა „.....“, შესაბამისად ,,შემსრულებლის“ მიერ განხორციელებული ,,მომსახურების“ ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს „.....“ აშშ დოლარს.

2.3. ანგარიშსწორების ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად.

3. ანგარიშსწორება

3.1. ,,ფონდი“ ვალდებულია დროულად მოახდინოს ,,შემსრულებელთან“ ანგარიშსწორება წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადაზე ადრე შეწყვეტა

4.1. წინამდებარე ,,ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია „.....“, თუკი არ შეწყდება ვადაზე ადრე ან მისი ვადა არ იქნება გაგრძელებული მხარეთა მიერ ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

4.2. ,,ხელშეკრულების“ შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

4.3. ,,ხელშეკრულება“ შეიძლება დაუყოვნებლივ იქნას შეწყვეტილი ,,ფონდის“ მიერ იმ შემთხვევაში, თუ:

4.3.1. ,,შემსრულებელი“ დაარღვევს წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ რომელიმე პირობას და ,,ფონდისაგან“ მიღებული შესაბამისი წერილობითი თუ ზეპირი გაფრთხილებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას;

4.3.2. ,,შემსრულებელი“ ვერ ან არ შეასრულებს ,,მომსახურებას“ ან წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ პირობებს ,,ფონდისათვის“ დამაკმაყოფილებელი ფორმით;

4.3.3. ,,შემსრულებელი“ დაკარგავს შესაძლებლობას გასწიოს ,,მომსახურება“ და ,,მომსახურების“ გაწევის ამგვარი შეუძლებლობა გაგრძელდება 1 (ერთი) კვირის განმავლობაში.

4.4. წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, ,,ფონდი“ გადაუხდის ,,შემსრულებელს“ მხოლოდ ამგვარ შეწყვეტამდე ,,შემსრულებლის“ მიერ ,,ხელშეკრულების“ პირობების დაცვით და ,,ფონდისათვის“ მისაღები ფორმით ფაქტობრივად გაწეული ,,მომსახურების“ შესაბამის ღირებულებას.

4.5. წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის ამოწურვის ან ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდგომ, ,,შემსრულებელი“ ვალდებულია ,,ფონდს“ დაუბრუნოს ყველა ის მასალა, დოკუმენტი, ანგარიში თუ სხვა ქონება, რომელიც გადაცემული იყო ,,შემსრულებლისათვის“, ან რომელიც შეძენილ ან შექმნილ იქნა ,,ფონდისათვის“ წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ საფუძველზე ,,მომსახურების“ გაწევის ფარგლებში.

5. განსაკუთრებული პირობა

5.1. ,,შემსრულებელი“ ადასტურებს რომ ამ ,,ხელშეკრულების“ ხელმოწერისას და მისი მოქმედების მანძილზე:

5.2. არ მუშაობს და არ იმუშავებს საჯარო სამსახურში და შესაბამისად არ ითვლება საჯარო მოხელედ;

5.3. არ აქვს აღებული სხვა ვალდებულებები, რომლებიც რაიმე ფორმით შეზღუდავენ მას ამ ,,ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში;

5.4. ,,შემსრულებელი“ წინამდებარე ,,ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით იღებს პასუხისმგებლობას, რომ ,,ფონდის“ შეცდომაში შეყვანის შემთხვევაში აანაზღაურებს ,,ფონდისთვის“ მიყენებულ ზარალს;

5.5. ,,შემსრულებელი“ წინამდებარე ,,ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით იღებს პასუხისმგებლობას, სათანადო გულისხმიერებით მოეკიდოს სამუშაოს და კეთილსინდისიერად და მაღალკვალიფიციურად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

5.6. ,,შემსრულებელი“ წინამდებარე ,,ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც ცნობილი გახდება მისთვის ამ ,,ხელშეკრულებით“ დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას და არ გადასცეს მიღებული ინფორმაცია და/ან მის მიერ შესრულებული სამუშაო მესამე პირს (გარდა ,,ფონდის“ თანამშრომლებისა) ,,ფონდის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

5.7. „შემსრულებელი“ ეთანხმება და აღიარებს, რომ ,,ხელშეკრულების” მოქმედების ვადის განმავლობაში სამსახურებრივი მიზნებიდან გამომდინარე ,,შემსრულებლის“ მივლინებაში ყოფნის დროს ,,ფონდი“ არ უზრუნველყოფს მის სამედიცინო და სამოგზაურო დაზღვევას.

5.8. „შემსრულებელი“ ეთანხმება და აღიარებს, რომ ,,ფონდი“ პასუხისმგებელი არ იქნება ,,შემსრულებლის“ სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის განმავლობაში ,,შემსრულებლისათვის“ ან ,,შემსრულებლის“ მიერ მესამე პირისათვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე.

6. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

6.1. წინამდებარე ,,ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წინამდებარე ,,ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული დავის წარმოშობიდან 15 დღის განმავლობაში, იგი განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოს.

7. სხვადასხვა დებულებები

7.1. წინამდებარე ,,ხელშეკრულება“ წარმოადგენს მხარეთა საბოლოო შეთანხმებას და ცვლის და აუქმებს მათ შორის მანამდე არსებულ ნებისმიერ ზეპირ თუ წერილობით შეთანხმებასა და შეთავაზებას.

7.2. წინამდებარე ,,ხელშეკრულების“ დანართები, შესწორებები და დამატებები უნდა იყოს შესრულებული წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

7.3. თუ ,,ხელშეკრულების“ რომელიმე დებულება ჩაითვლება უკანონოდ და ბათილად, აღნიშნული არ იქონიებს ზეგავლენას დანარჩენი დებულებების და მთლიანად ,,ხელშეკრულების“ კანონირებაზე.

7.4. წინამდებარე ,,ხელშეკრულება“ შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეკზემპლარად თითო ეკზემპლარი თითოეული მხარისათვის.

9. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

	,,ფონდი“	,,შემსრულებელი“
	საერთაშორისო ფონდი ,,კურაციო“	----------
ქალაქი	თბილისი	თბილისი
ინდექსი	0162	----------
ქვეყანა	საქართველო	საქართველო
ტელეფონი	99532 251344	
ელ-ფოსტა	cif@curatio.com	

პირადი #	----------
გაცემის თარიღი:	----------
გამცემი ორგანოს დასახელება:	----------

ქვემოთ ხელმოწერით, მხარეები ეთანხმებიან ხელშეკრულებაში მოცემულ ყველა პირობას.

საერთაშორისო ფონდი კურაციო **შემსრულებელი**

გიორგი გოცაძე
პრეზიდენტი

თარიღი: ----------

თარიღი: ----------